საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020174184811921

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/8365 **09 / დეკემბერი / 2021 წ.**

"მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2021 წლის 01 ნოემბრის #21/09/03-82 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ 2021 წლის 05 ნოემბერს განხორციელებულ იქნა ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შქმერში, მანგანუმის შესწავლა/მოპოვების მიზნით შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) გაცემული #10002204 და შპს ,,მნ ნორთი"-ზე (ს/ნ 405470967) გაცემული #10002205 ლიცენზიების ადგილზე დათვალიერება/შესწავლა.

ადგილზე დათვალიერება/შესწავლის შედეგად გამოვლინდა შპს „ტექნოლოჯი 2021“-ს მიერ #10002204 ლიცენზიის პირობების დარღვევები, რაზეც სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის მიერ გატარებულ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები, კერძოდ: სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო კომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 003417 ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^3-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რომელიც 2021 წლის 16 ნოემბრის #22/7805 წერილით განსახილველად გაიგზავნა ონის მაგისტრატ სასამართლოში.

რაც შეეხება შპს ,,მნ ნორთი"-ს, კომპანია შემოწმების მომენტისათვის #10002205 ლიცენზიით განსაზღვრული სამთო მინაკუთვნის არც ერთ უბანზე შესწავლით ან სხვა სახის სამუშაოებს არ აწარმოებდა.

პატივისცემით,

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ოთარი დანელია